



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011755649606421

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

129626

25 / მარტი / 2021 წ.

მოსაწვევი

(ზეპირი მოსმენა)

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ისუფ სოლომონიძის (პირადი ნომერი 61009000160) 2021 წლის 09 მარტის № 107091/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ აჭარის რეგიონული ოფისის № 882021123034-06 (26.02.2021 წ.) გადაწყვეტილების გაუქმება და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ზემოაღნიშნულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ დურმიშხან სოლომონიძე (პირადი ნომერი 61009000127), მაია ბარამიძე (პირადი ნომერი 61009001564), მეგი სოლომონიძე (პირადი ნომერი 61009033402) და საბა სოლომონიძე (პირადი ნომერი 61309035065).

№ 107091/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, **ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდება 2021 წლის 05 აპრილს 13:00 საათზე.**


ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ: დურმიშხან სოლომონიძე (პირადი ნომერი 61009000127), ისუფ სოლომონიძე (პირადი ნომერი 61009000160), მაია ბარამიძე (პირადი ნომერი 61009001564), მეგი სოლომონიძე (პირადი ნომერი 61009033402), საბა სოლომონიძე (პირადი ნომერი 61309035065) და აჭარის რეგიონული ოფისის წარმომადგენელი.

ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდება დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ვთხოვთ, ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულმა პირებმა თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი) მიაწოდოთ საჯარო რეესტრს, შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: info@narp.gov.ge. შესაბამისი ინფორმაციის გამოგზავნის შემთხვევაში, თქვენ დაგიკავშირდებათ საჯარო რეესტრის თანამშრომელი და მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას/ინსტრუქციას ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2), ხულოს საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად 

დავით დევციძე